

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) საჭიროებისათვის პირადი ჰიგიენის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
2012 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
4. დამატებითი ინფორმაცია	10
5. დანართი N1 - სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები.....	11
6. დანართი N2 - ანგარიშსწორების პირობები	13
7. დანართი N3 - რეკვიზიტები.....	14

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები, საქონლის მიწოდების პირობები და ვადები დანართი N1-ის მიხედვით; დანართი #1 წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის დაცვით.

ბ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი N2);

გ) რეკვიზიტები – დანართი N3-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

2.2 ანგარიშსწორების პირობები:

ანგარიშსწორების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №2-ის მიხედვით

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

ტექნიკური პირობები იხ. დანართი N1;

2.4 ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს 2.1 პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია, რომლის ყველა გვერდი ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.5 სატენდერო წინადადების ფასი

2.5.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ფასების ცხრილი დანართი №1-ის მიხედვით.

2.5.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების, მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის დღგ-ს გათვალისწინებით თუ პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი.

2.6 საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დანართი №1-ში მითითებული ადგილისა და პირობების შესაბამისად

2.7 ნიმუშები

2.7.1 პრეტენდენტმა შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების შესაბამისი საქონლის ნიმუშების წარმოდგენა.

2.7.2 წარმოდგენილი ნიმუშები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

2.8 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

2.9 დამატებითი მოთხოვნები

2.9.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

2.9.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.9.3 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

„.....“ „.....“ 2012წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით.

იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144, ფაქტობრივი მისამართი თამარაშვილის ქ. № 15^ა მე-3 სართული.

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“)

წარმოდგენილი -----

იურიდიული მისამართი -----

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) საჭიროებისათვის პირადი ჰიგიენის პროდუქტების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 33700000 - პირადი ჰიგიენის პროდუქტები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (#SPA _____) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი _____ ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1 მიწოდებული საქონლის რაოდენობის და საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2 მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-თან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა და მის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

2.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 საქონლის დასახელება, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, რაოდენობა, განზომილება, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების დანართში #1 გათვალისწინებული პირობების დაცვით.

4.2 საქონლის მიწოდების მოთხოვნას შემსყიდველი შესაბამისი საქონლის სახეობისა და რაოდენობის მითითებით წერილობით ან ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით გადასცემს/უგზავნის მიმწოდებელს, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღს ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2 საქონლის მიღებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს საქონლის შემოწმებას და ადგენს შესაბამის ინსპექტირების დასკვნას.

5.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.4 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წერილობით წარუდგენს საქონლის მიწოდებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილ ინსპექტირების დასკვნას, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტს, სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.5 ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- 7.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
- 7.1.2 უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მომართვიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.
- 7.1.3 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
- 7.1.4 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
- 7.1.5 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- 7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
 - 7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება
 - 7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
 - 7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

- 8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
 - 8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
- 8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
 - 8.2.1 აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის, რაოდენობის და მიწოდების ვადის კონტროლი;
 - 8.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

- 9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
- 9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

- 10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ

არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებარე მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიუწოდებლობის ან არაჯეროვანი მიწოდების შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 შემსყიდველს ხელშეკრულების 6.3 პუნქტში მითითებული ანგარისწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი – შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144

სახელმწიფო ხაზინა

კოდი №-----

ა/ა №-----

ს/კ №-----

„მიმწოდებელი“

ანა ჩაჩუნაშვილი

დირექტორი

4. დამატებითი ინფორმაცია.

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.№ 15ა ქ. მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ილია რევაზიშვილი, დემურ ცეცაძე, შოთა ჯორჯიკია ტელ: +99532 239-53-19

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები

1.ფასების ცხრილი

შევსების თარიღი „___“ _____ 2012წ

„_____“
(პრეტენდენტის დასახელება) სატენდერო წინადადების ფასი _____ ლარი
(თანხა ციფრობრივად) (თანხა სიტყვიერად)

#	საქონლის დასახელება	CPV	ტექნიკური პირობები	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი (ლარში) (*)	საერთო ღირებულება (ლარში) (*)	მიწოდების ვადა (**)	მიწოდების ადგილი
1	შამპუნი	33711610	მაღალი ხარისხის სამკურნალო თვისებებით შიგთავსი არანაკლებ 250 გრ.არომატიზირებული სურნელით.	2000	ცალი			2012 წლის განმავლობაში, მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი. მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. #3
2	კბილის პასტა	33711720	მაღალი ხარისხის, მასა არანაკლებ 150 გრ.სამკურნალო თვისებების შემადგენლობით.	2500	ცალი				
3	ყურის ჩხირი	33711410	მაღალი ხარისხის, თავი ბამბის, ორმხრივი, პოლიეთილენის ან პლასტმასის ყუთებში, შეკვრაში არანაკლებ 200 ცალი	1000	შეკვრა				
4	სველი ხელსახოცი	33711430	მაღალი ხარისხის, სველი ეფექტით, არომატიზირებული სირნელით, კანის გასაწმენდი, პოლიეთილენის შეკვრაში ან პლასტმასის ყუთში (დიდი ზომის)	2000	შეკვრა				
5	სარეცხის საპონი	33711900	სარეცხი საპონი, მაღალი ხარისხის, არათხევადი, წონა არანაკლებ 150გრ.	2500	ცალი				
6	საპონი	33711900	მაღალი ხარისხის, არათხევადი, წონა არანაკლებ 100გრ. არომატიზირებული სურნელით	6000	ცალი				
7	მაღამო ხელის	33711500	მაღამო ხელის კანისთვის, მაღალი ხარისხის, სამკურნალო თვისებებით, არანაკლებ 50გრ. არომატიზირებული სურნელით	250	ცალი				
8	მაღამო სახის	33711500	მაღამო სახის კანისთვის, მაღალი ხარისხის, არომატიზირებული სირნელით	250	ცალი				

(ხელმოწერა)

(ბ.ა. დგილი, ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

შენიშვნა:

(*) დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით, ასევე პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს საქონლის ღირებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი მიწოდების ადგილამდე.

გამარჯვებულ პირს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის განფასება დანართი №1-ის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

პრეტენდენტმა შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების შესაბამისი საქონლის ნიმუშების წარმოდგენა, წარმოდგენილი ნიმუშები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

()** საქონლის მიწოდების მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობის და რაოდენობის მითითებით ადგენს და წერილობით ან ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით გადასცემს/უგზავნის მიმწოდებელს, რომლის საფუძველზეც არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

(ხელმოწერა)

(ბ.ა. დგილი, ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

1. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

_____ „____“ _____“ 2012წ.
(პრეტენდენტის დასახელება) (შევსების თარიღი)

- ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.
- ანგარიშსწორება განხორციელდეს _____ მიერ ინსპექტირების
(პრეტენდენტის დასახელება)

დასკვის,მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან), წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

(ხელმოწერა)

(ბ.ა. ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)